საქართველოს მთავრობის

დადგენილება №102

2024 წლის 28 მარტი

ქ. თბილისი

კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა“.

მუხლი 2

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – აწარმოე საქართველოში უზრუნველყოს ამ დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 8 აპრილიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

პროგრამის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **პროგრამა** – კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა;

ბ) **სააგენტო** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – აწარმოე საქართველოში;

გ) **მეწარმე სუბიექტი** – ამ პროგრამის მიზნებისათვის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომლის წინა სამეურნეო წლის აკუმულირებული ჯამური შემოსავალი არ აღემატება 200 მლნ ლარს;

დ) **სამეურნეო წელი** – „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული დროის პერიოდი ყოველი წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით;

ე) **ბენეფიციარი** – მეწარმე სუბიექტი, რომელსაც ამ პროგრამით დადგენილი პირობების შესაბამისად მიენიჭა ბენეფიციარის სტატუსი;

ვ) **საბროკერო კომპანია** – „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ლიცენზირებული საბროკერო კომპანია, რომელსაც სააგენტოსთან გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება;

ზ) **განაცხადი** – სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი განაცხადი, რომელსაც სააგენტოში წარადგენს მეწარმე სუბიექტი პროგრამაში მონაწილეობის მიღების თაობაზე;

თ) **დასკვნა** – სააგენტოსა და საბროკერო კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით

დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებული დასკვნა პროგრამაში ჩართვის მსურველი მეწარმე სუბიექტის შეფასების თაობაზე;

ი) **თანადაფინანსება** – პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარის მიერ გასაწევი/გაწეული ხარჯის პროგრამით განსაზღვრული პირობების შესაბამისად ანაზღაურება;

კ) **ფასიანი ქაღალდების ემისია (გამოშვება)** – „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული პროცედურა;

ლ) **ფასიანი ქაღალდების განთავსება** – საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის №179/04 ბრძანებით განსაზღვრული განთავსება;

მ) **სასესხო ფასიანი ქაღალდი (ობლიგაცია)** – „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული სასესხო ფასიანი ქაღალდი;

ნ) **საჯარო შეთავაზება –** „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული შეთავაზება;

ო) **ემისიის პროსპექტი** – „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული ემისიის პროსპექტი;

პ) **წინასწარი პროსპექტი** – „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული წინასწარი პროსპექტი;

ჟ) **დამტკიცებული პროსპექტი** – „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული დამტკიცებული პროსპექტი.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 17 სექტემბრის დადგენილება №304 - ვებგვერდი, 18.09.2024წ.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და აღწერა

1. პროგრამის მიზანია საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა ფასიანი ქაღალდების განთავსების სტიმულირების გზით.

2. პროგრამა მოიცავს ორ კომპონენტს:

ა) თანადაფინანსების კომპონენტი;

ბ) ტექნიკური დახმარების კომპონენტი.

ამასთანავე, პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარი უფლებამოსილია, გამოიყენოს თანადაფინანსების კომპონენტი ან/და ტექნიკური დახმარების კომპონენტი.

3. პროგრამის თანადაფინანსების კომპონენტი ითვალისწინებს ამ პროგრამის მე-5 მუხლით განსაზღვრული ლიმიტების შესაბამისად ბენეფიციარის მიერ ფასიანი ქაღალდების ემისიასთან დაკავშირებული შემდეგი ორი სახის ხარჯის თანადაფინანსებას:

ა) ბენეფიციარის მიერ სარეიტინგო კომპანიისთვის გადახდილი/გადასახდელი საკრედიტო რეიტინგის მოპოვებასთან დაკავშირებული ხარჯი. ამასთანავე, სააგენტო მოახდენს, „საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური გირავნობის მართვის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2024 წლის 8 აპრილის №1 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებითა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით განსაზღვრული საქართველოს ეროვნული ბანკისთვის მისაღები სარეიტინგო კომპანიებისგან მინიჭებული საკრედიტო რეიტინგის მოპოვებისთვის გაწეული/გასაწევი ხარჯის თანადაფინანსებას;

ბ) ბენეფიციარის მიერ საბროკერო კომპანიისთვის ასანაზღაურებელი მომსახურების საფასური

(საკომისიო).

ბენეფიციარი უფლებამოსილია, რამდენჯერმე ისარგებლოს ამ პუნქტის „ა“ ან/და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული თანადაფინანსებ(ებ)ით, ამ პროგრამის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში. ამასთანავე, ერთი დასკვნის ფარგლებში ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული თანადაფინანსება განხორციელდება მხოლოდ ერთხელ.

4. პროგრამის ტექნიკური დახმარების კომპონენტი ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდების ემისიისთვის საჭირო ცოდნის ამაღლების მიზნით ტრენინგის ან/და შესაბამისი საკონსულტაციო მომსახურების თანადაფინანსებას. სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დგინდება ამ კომპონენტში ჩართვისთვის მეწარმე სუბიექტის დასაშვებობის კრიტერიუმები, კომპონენტის დაფინანსების ლიმიტები/მოცულობა, ანაზღაურების წესი და სხვა პირობები.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 17 სექტემბრის დადგენილება №304 - ვებგვერდი, 18.09.2024წ.

მუხლი 3. პროგრამის განხორციელების მექანიზმი

1. პროგრამის კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომელიც ასევე უზრუნველყოფს სააგენტოს მიერ ამ პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების ზედამხედველობას.

2. სააგენტო, თავისი კომპეტენციიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს ამ პროგრამით განსაზღვრული პირობებისა და ლიმიტების შესაბამისად ბენეფიციარის თანადაფინანსებას.

3. სააგენტოსა და საბროკერო კომპანიას შორის, პროგრამის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

4. პროგრამაში მონაწილეობის მსურველი მეწარმე სუბიექტი მიმართავს სააგენტოს განაცხადით. სააგენტო ამ პროგრამით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით განიხილავს განაცხადს და აწვდის საბროკერო კომპანიას/კომპანიებს შემდგომი რეაგირებისთვის.

5. საბროკერო კომპანია, თავის მხრივ, ადასტურებს განაცხადის მიღებას, რის შემდგომ ადგენს მეწარმე სუბიექტის შესაბამისობას ამ დადგენილებისა და სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და აფასებს მეწარმე სუბიექტის შესაძლებლობას ფასიანი ქაღალდების წარმატებით განთავსებასთან დაკავშირებით. შეფასების შედეგად საბროკერო კომპანია ამზადებს დასკვნას და აგზავნის სააგენტოში. ამასთანავე, სააგენტოში დასკვნის წარდგენის მომენტისთვის საბროკერო კომპანიასა და პროგრამაში ჩართვის მსურველ მეწარმე სუბიექტს შორის გაფორმებული უნდა იყოს შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულება.

6. დასკვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში სააგენტო, პროგრამით განსაზღვრული პირობებისა და დასკვნაში გამოხატული საბროკერო კომპანიის შეფასების გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას დასკვნის ფარგლებში მეწარმე სუბიექტის პროგრამაში ჩართვის შესახებ.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მეწარმე სუბიექტს პროგრამაში ჩართვის მომენტიდან ენიჭება ბენეფიციარის სტატუსი.

8. ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ბენეფიციარის პროგრამაში ჩართვიდან საბროკერო კომპანიამ 6 თვის ვადაში უნდა წარადგინოს დამტკიცებული პროსპექტი. ამ ვადის დარღვევის შემდეგ სააგენტო არ განახორციელებს ბენეფიციარის ამ პროგრამის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანადაფინანსებას.

9. ამ პროგრამის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული თანადაფინანსებით სარგებლობისათვის სააგენტოსა და ბენეფიციარს შორის, ბენეფიციარის მიერ მიმართვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, ფორმდება ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება უნდა მოხდეს ბენეფიციარის მიერ სარეიტინგო კომპანიასთან საკრედიტო რეიტინგის მინიჭების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე.

10. ამ პროგრამის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საკრედიტო რეიტინგის მოპოვებისთვის (რეიტინგის მინიჭებისთვის) ბენეფიციარის მიერ გაწეული/გასაწევი ხარჯის ანაზღაურება მოხდება დასკვნის ფარგლებში დამტკიცებული პროსპექტის სააგენტოსთვის წარდგენის შემდგომ, სააგენტოსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. ამასთანავე, საკრედიტო რეიტინგის მინიჭება უნდა მოხდეს შესაბამისი დასკვნის ფარგლებში ფასიანი ქაღალდების სრულ განთავსებამდე. ასევე საკრედიტო რეიტინგის მოპოვებისთვის გაწეული/ გასაწევი ხარჯის ანაზღაურება ერთი დამტკიცებული პროსპექტის ფარგლებში განხორციელდება მხოლოდ ერთხელ.

11. ამ პროგრამის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საბროკერო კომპანიისთვის ასანაზღაურებელი მომსახურების საფასურის (საკომისიო) თანადაფინანსება განხორციელდება პროგრამის ფარგლებში ფასიანი ქაღალდების განთავსების შემდგომ, საბროკერო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

12. ამ პროგრამის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ხარჯ(ებ)ის თანადაფინანსებისთვის, საბროკერო კომპანიამ ან/და ბენეფიციარმა ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად ბენეფიციარის პროგრამაში ჩართვიდან 18 თვის ვადაში უნდა მიმართონ სააგენტოს შესაბამისი ხელშეკრულებ(ებ)ით დადგენილი წესით. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში სააგენტო არ განახორციელებს ბენეფიციარის ამ პროგრამის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ თანადაფინანსებას.

13. სააგენტო უფლებამოსილია, რისკების (როგორებიცაა საბროკერო კომპანიის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედება ან/და პროგრამის პირობების დარღვევა ან არაჯეროვანი შესრულება) შეფასების საფუძველზე, შეუჩეროს ან შეუწყვიტოს კონკრეტულ საბროკერო კომპანიას პროგრამაში მონაწილეობის უფლება, რის შესახებაც მინიმუმ 10 სამუშაო დღით ადრე უნდა აცნობოს მას.

14. პროგრამის კომპონენტების დამატებით პირობებს, ასევე დამატებით მოთხოვნებს მეწარმე სუბიექტებისთვის/ბენეფიციარებისთვის/საბროკერო კომპანიებისთვის და დასკვნისთვის განსაზღვრავს სააგენტო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 17 სექტემბრის დადგენილება №304 - ვებგვერდი, 18.09.2024წ.

მუხლი 4. პროგრამაში მონაწილეობა

1. პროგრამის ფარგლებში არ დაფინანსდება ის მეწარმე სუბიექტი, რომელიც ახორციელებს ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ საქმიანობას მაინც:

საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი – სეკ 006-2016 (NACE-Rev-2):

სექცია	განყოფილება	საქმიანობის დასახელება
C	25	25.40.0 იარაღისა და საბრძოლო მასალების წარმოება
C	30	30.40.0 სამხედრო საბრძოლო სატრანსპორტო საშუალებების წარმოება
R	92	92.00.0 აზარტული თამაშების საქმიანობები
S	94	94.91.0 რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობები
S	94	94.92.0 პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობები.

2. პროგრამის ფარგლებში სასესხო ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან მოზიდული სახსრები არ უნდა

იქნეს გამოყენებული შემდეგი მიზნობრიობით:

საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი – სეკ 006-2016 (NACE-Rev-2):

სექცია	განყოფილება	საქმიანობის დასახელება
A	01	01.15.0 თამბაქოს მოყვანა
C	11	11.01.0 სპირტიანი სასმელების დისტილირება, რექტიფიცირება და შერევა (ლუდის, ყურძნის ღვინის, სიდრისა და სხვა ხილის ღვინოების გარდა)
C	11	11.04.0 სხვა არადისტილირებული, ფერმენტირებული სასმელების წარმოება (ლუდის, ყურძნის ღვინის, სიდრისა და სხვა ხილის ღვინოების გარდა)
C	12	12.00.0 თამბაქოს ნაწარმის წარმოება
C	25	25.40.0 იარაღისა და საბრძოლო მასალების წარმოება
C	30	30.40.0 სამხედრო საბრძოლო სატრანსპორტო საშუალებების წარმოება
G	46	46.34.1 საბითუმო ვაჭრობა ალკოჰოლიანი სასმელებით (ლუდის, ყურძნის ღვინის, სიდრისა და სხვა ხილის ღვინოების გარდა)
G	46	46.35.0 საბითუმო ვაჭრობა თამბაქოს პროდუქტებით
G	47	47.25.0 საცალო ვაჭრობა სასმელებით სპეციალიზებულ მაღაზიებში
G	47	47.26.0 საცალო ვაჭრობა თამბაქოს ნაწარმით სპეციალიზებულ მაღაზიებში
R	92	92.00.0 აზარტული თამაშების საქმიანობები
S	94	94.91.0 რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობები
S	94	94.92.0 პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობები

3. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მხოლოდ საჯარო შეთავაზების გზით სასესხო ფასიანი ქაღალდების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების თანადაფინანსება.

4. ბენეფიციარი უფლებამოსილია, პროგრამის ფარგლებში მოახდინოს ფასიანი ქაღალდების განთავსება, როგორც ეროვნულ (ლარი), ასევე უცხოურ (აშშ დოლარი/ევრო/ფუნტი სტერლინგი) ვალუტებში.

5. პროგრამის ფარგლებში არ განხორციელდება ამ პროგრამის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად ბენეფიციარის პროგრამაში ჩართვამდე საქართველოს ეროვნულ ბანკში წარდგენილი წინასწარი პროსპექტის ფარგლებში განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების თანადაფინანსება.

6. პროგრამაში ერთი დასკვნის ფარგლებში დაშვებულია მხოლოდ ერთი ემისიის პროსპექტის მომზადება.

7. ერთი დამტკიცებული პროსპექტის ფარგლებში რამდენიმე დასკვნის არსებობისას ერთსა და იმავე ვალუტაში ფასიანი ქაღალდების გამოშვებაზე დაშვებულია მხოლოდ ერთი დასკვნის წარდგენა.

მუხლი 5. თანადაფინანსების მოცულობა და ლიმიტები

1. ერთი დასკვნის ფარგლებში ამ პროგრამის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საკრედიტო რეიტინგის ხარჯების თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა შეადგენს 100 000 ლარს.

2. ერთი დასკვნის ფარგლებში განთავსებული ფასიანი ქაღალდების ამ პროგრამის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარის მიერ საბროკერო კომპანიისთვის ასანაზღაურებელი მომსახურების საფასურის (საკომისიო) თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა შეადგენს 200 000 ლარს.

3. ერთი ბენეფიციარისათვის, ერთზე მეტი დასკვნის შემთხვევაში, ამ პროგრამის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა ჯამურად შეადგენს არაუმეტეს 1 მლნ ლარს.

4. ამ პროგრამის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საკრედიტო რეიტინგის ხარჯის თანადაფინანსების დაანგარიშებისას გაითვალისწინება ბენეფიციარის წინა სამეურნეო წლის განმავლობაში აკუმულირებული ჯამური შემოსავალი ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოცულობის ფარგლებში, შემდეგი პროპორციის დაცვით:

– 20 მლნ ლარამდე შემოსავლის შემთხვევაში ანაზღაურდება ხარჯის 80%;

– 20-დან 40 მლნ ლარამდე შემოსავლის შემთხვევაში ანაზღაურდება ხარჯის 70%;

– 40-დან 60 მლნ ლარამდე შემოსავლის შემთხვევაში ანაზღაურდება ხარჯის 60%;

– 60-დან 200 მლნ ლარის ჩათვლით შემოსავლის შემთხვევაში ანაზღაურდება ხარჯის 40%.

5. ამ პროგრამის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარის მიერ საბროკერო კომპანიისთვის ასანაზღაურებელი მომსახურების საფასურის (საკომისიოს) თანადაფინანსების დაანგარიშებისას გაითვალისწინება ბენეფიციარის წინა სამეურნეო წლის განმავლობაში აკუმულირებული ჯამური შემოსავალი, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოცულობის ფარგლებში, ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად:

შემოსავლის მოცულობა	**40 მლნ ლარამდე**	**40 მლნ-დან 60 მლნ ლარამდე**	**60 მლნ-დან-200 მლნ ლარის ჩათვლით**
განთავსების პროცენტული მაჩვენებელი	1%	0.7%	0.5%

6. ამ პუნქტის შესაბამისად, პროგრამა ითვალისწინებს ისეთ პრიორიტეტულ გარემოებებს, რომელთა დროსაც ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული თანადაფინანსების პროცენტული მაჩვენებელი თითოეულ შემთხვევაში დამატებით იზრდება ქვემოთ მოცემული პროცენტული პუნქტით, თუმცა არაუმეტეს ამ მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული დაფინანსების მაქსიმალური მოცულობისა:

ა) ბენეფიციარი პირველად ახდენს ფასიანი ქაღალდების განთავსებას – 0.2%;

ბ) პროგრამის ფარგლებში განთავსებული ფასიანი ქაღალდი არის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ობლიგაცია (ESG), რომელიც დასტურდება შესაბამისი კვალიფიციური მეორე მხარის

მოსაზრებით – 0.1%;

გ) სასესხო ფასიანი ქაღალდების განთავსება მოხდება ეროვნულ ვალუტაში – 0.2%.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 17 სექტემბრის დადგენილება №304 - ვებგვერდი, 18.09.2024წ.

მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი და დაფინანსება

1. პროგრამის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტით სააგენტოსთვის გათვალისწინებული ასიგნებები.

2. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები შესაძლებელია დაფინანსდეს საერთაშორისო ან/და დონორი ორგანიზაციების, ასევე საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრებით. ამ შემთხვევაში შესაძლებელია, დაფინანსება სრული/ნაწილობრივი ოდენობით მოხდეს დონორი ორგანიზაციის მეშვეობით ან/და ჩაირიცხოს სახელმწიფო ხაზინაში არსებულ სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა (არასაბიუჯეტო სახსრების) შემოსავლების ანგარიშზე, რომლის გამოყენებასაც სააგენტო უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული თანადაფინანსების ვადებისა და პირობების შესაბამისად.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის აღსრულების მიზნით, სააგენტო უფლებამოსილია, გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება/მემორანდუმი.

4. პროგრამის ფარგლებში სააგენტოს მიერ განაცხადების მიღება შესაძლებელია შეჩერდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული განაცხადების შესაბამისად სააგენტოს მიერ ასაღები ვალდებულებების მოცულობა გადააჭარბებს საბიუჯეტო წლისთვის სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ პროგრამის ბიუჯეტის ჯამურ მოცულობას. ამასთან, სააგენტო უფლებამოსილია, განსაზღვროს მეწარმე სუბიექტის კატეგორიები მათი შემოსავლების გათვალისწინებით და პროგრამისთვის გამოყოფილი ჯამური ბიუჯეტის ფარგლებში თითოეული კატეგორიისთვის დაადგინოს შესაბამისი ლიმიტები.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 17 სექტემბრის დადგენილება №304 - ვებგვერდი, 18.09.2024წ.

მუხლი 7. გარდამავალი დებულებები

1. სააგენტო სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 30 აპრილის №ს-43 ბრძანების ფარგლებში 2024 წლის 5 აგვისტომდე შესული B კატეგორიის მეწარმე სუბიექტების (მეწარმე სუბიექტი, რომლის წინა სამეურნეო წლის აკუმულირებული ჯამური შემოსავალი აღემატება 60 მლნ ლარს ან/და საქმიანობს ფინანსურ სექტორში) განაცხადებს/დასკვნებს განიხილავს და უზრუნველყოფს მათ თანადაფინანსებას, ამავე ბრძანებით განსაზღვრული კრიტერიუმებისა და თანადაფინანსების მოცულობების შესაბამისად. ამასთან, სააგენტო უზრუნველყოფს ამავე ბრძანების ფარგლებში 2024 წლის 5 აგვისტომდე უკვე დადასტურებული დასკვნების დაფინანსებას ამავე ბრძანების პირობებით.

2. სააგენტო არ განახორციელებს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარების დაფინანსებას, იმ შემთხვევაში, თუ დასკვნის ფარგლებში განსაზღვრული თანადაფინანსება განხორციელდა დონორი ორგანიზაციის მიერ.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 17 სექტემბრის დადგენილება №304 - ვებგვერდი, 18.09.2024წ.